

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ჯეიხუნ ჩოიდაროვი ყიზილ-აჯლოს ადმინისტრაციული ერთეულის სოფლების მოსახლეობასთან შეხვედრის

## ოქმი N1

ქ. მარნეული

21.09.2019 წელი

**შეხვედრას ესწრებოდნენ:**

**საკრებულოს წევრები:** - ჯეიხუნ ჩოიდაროვი, მამუკა ნავერიანი, ბესიკ გელენიძე, გივი გიორგაძე, რომან ტაბატაძე.

**სხდომას ესწრებოდა-** ყიზილ-აჯლოს ადმინისტრაციული ერთეულის სოფელი: ყიზილ-ლაჯლოს მოსახლეობა, ასევე მარნეულის მაჟორიტარის პარლამენტის წევრის თამაზ ნავერიანის ბიუროს უფროსი აგილ ამირჯანოვი, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საზოგადოებასთან, მედიასთან, არასამთავრობო სექტორთან ურთიერთობის და გენდერული საკითხების განყოფილების სპეციალისტები არჩილ მდივნიშვილი, ხომეადამ ნოვრუზალოვა და მარიანა გვრიტიშვილი

**განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:**

1. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ყიზილ-აჯლოს ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატის ჯეიხუნ ჩოიდაროვის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

**მოისმინეს:** დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა, ყიზილ-აჯლოს ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარმა დეპუტატმა ჯეიხუნ ჩოიდაროვმა ყიზილ-აჯლოს ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი სოფლის (ყიზილ-აჯლო) მოსახლეობას წარუდგინა 2019 წლის ანგარიში. საკრებულოს წევრი შეეხო ყიზილ-აჯლოს ადმინისტრაციულ ერთეულში 2019 წელს განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებს. აღინიშნა, რომ მიმდინარე წელს სოფელ ყიზილ-აჯლოში გარე განათების მოწყობა და N2 საჯარო სკოლის საპირფარეშოს რეაბილიტაცია განხორციელდა.ს

**აზრი გამოთქვას:** მოსახლეობამ ისაუბრა იმ პრობლემებზე, რომელიც აწუხებს სოფელი ყიზილ-აჯლოს მოსახლეობას. ჩამოთვლილი პრობლემებიდან ყველაზე აქტუალურია სარწყავი არხების გაწმედა, გარე განათება, ნაგვის ურნების დადგმა, სასაფლაოზე სარიტუალო სახლის მშენებლობა, სპორტული დარბაზისა და მინი მოედნის აშენება, ასევე ძველი სტადიონის რეაბილიტაცია,

**გადაწყვეტეს:** მოსახლეობამ დადებითად შეაფასა მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ყიზილ-აჯლოს ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატის ჯეიხუნ ჩოიდაროვის გაწეული მუშაობის ანგარიში.